გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის

2023 წლის 1 ნოემრბიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემრბიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 სხდომას (მორიგი - 10 , რიგგარეშე - 1) და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონონაწილეობა მივიღე - 85 საკითხის განხილვაში.

დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის - 11 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 23 საკითხი.

დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის- 15 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 85 საკითხი.

ერთობლივი კომისიების 2 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

საკრებულოს უმრავლესობის 2 სხომას, განხილული იქნა - 31 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, რომლის ფარგლებშიც მთელი წლის პერიოდში ვესწრებოდი გასვლით საინფორმაციო და სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებს, ვგეგმავდით და ვახორციელებდით რიგ პროექტებს.

აქტიურად ვხვდებით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, ვინიშნავთ მათ პრობლემებს რათა საკრებულოს წევრებმა მოვახდინოთ მათი ინიცირება.

მიმდინარე წელს ჩემს მიერ დაყენებული ინიციატივებია:

- ✓ სოფელ ხელთუბანში არსებული მე-6 ქუჩისთვის თედო რაზიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
- ✓ სოფელ ბერშუეთში არსებული #5 ქუჩისთვის იოსებ ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ;
- ✓ სოფელ არბოში არსებული #1 ქუჩისთვის ანტონ ფურცელაძის სახელის მინიჭების შესახებ;
- ✓ სოფელ კოშკაში არსებული #3 ქუჩისთვის ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

- ✓ სოფელ მერეთში არსებული #1 ქუჩისთვის დიმიტრი ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ;

საანგარიშო პერიოდში შევხვდი: მუნიციპალიტეტში ქალაქის და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მოხდა გარკვეული პრობლემების გამოვლენა, ნაწილის მოგვარებაც.

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მეწარმე ქალებთან, პრობლემების გამოვლენა/გადამისამართება;

მონაწილეობა მივიღე იაკობობის დღესასწაულზე გამართულ ღონისძიებაში;

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ საზაფხულო ბანაკის პროექტის ფარგლებში ვესტუმრე ბანაკს და გავეცანი ახალგაზრდების მოსაზრებებს.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მუშაობაში. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი **2024 წლის 21 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ლიანა ოქროპირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა შენგელია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ლიანა ოქროპირიძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ლიანა ოქროპირიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლიანა ოქროპირიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის

1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ლიანა ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან. ამასთან, ისაუბრა მუნიციპალიტეტში არსებულ გენდერულ საბჭოზე და მის ფუნქციებზე, აღნიშნა რომ ნებისმიერ დროს მზადაა პრობლემებზე ესაუბროს ქალებს და შესთავაზოს კონსულტაციები.

აზრი გამოთქვეს: მარინე ჭარუაშვილმა და ნუნუ ნუცუბიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე

საკრებულოს წევრი: ლიანა ოქროპირიძე